



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არშაკი

არშაკი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის ორი მეფის სახელი. ა. I, ქართლის მეხუთე მეფე (დაახლ. ძვ. წ. II ს. II ნახ.), სომხეთის არშაკუნიანი მეფის ძე, მოწვეული ქართლის ერისთავთა მიერ (მისი ამგვარი წარმომავლობა საეჭვოა, რადგან არშაკუნიანები სომხეთში ორი საუკუნით უფრო გვიან გამეფდნენ); ა. II, ქართლის მეცხრე მეფე (დაახლ. ძვ. წ. I ს. დასასრ.), ნეკრესისა და უფლისციხის მაშენებელი. როგორც ჩანს ა. I და ა. II უნდა იყვნენ „მოქცევად ქართლისად“ მეექვსე და მეათე მეფეები არსოკი/არსუკი.

ლიტ.: იხ. სტ-თან [არშაკიანები](#) ქართლისა.

ლ. - ნ. ჯანაშია
